



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო87.8722014001

თარიღი:14/01/2022

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის  
ოქმი № 1**

ქ. ახმეტა 10 იანვარი, 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ.ბართიშვილი, ლ. ვაჩიშვილი,

თ.ყეინიშვილი, თ.ბორჩაშვილი, ხ.ინუაიძე,

გ.შაშიაშვილი, კ.მამულაშვილი,ზ.უძილაური,

ე.ბაღაკაშვილი, ბ.კაიშვილი, გ. ონიაშვილი,

გ.მამუნარაშვილი,რ.გახუაშვილი,დ.ავაზაშვილი,

თ.მოზაიძე, გ.უძილაური, ფ.შიომღვდლიშვილი,

ე.ფეტვიაშვილი, შ. ტერტერაშვილი, გ. შორთიშვილი,

ლ. მუთოშვილი, ე. მარკოზაშვილი, კ. მაზიაშვილი,

კ. მუხაური.

სხდომას ასევე ესწრებოდა: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი - ალექსი ფიცხელაური.

სხდომა გაიხსნა 11<sup>00</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი**

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

**2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის მოსმენის შესახებ.**

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

**სხდომა დატოვა კობა მაზიაშვილმა.**

**საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას.**

**სხდომა ესწრება - 24 საკრებულოს წევრი**

**მომხრე - 16**

**მონაწილეობა არ მიიღო - 8 (შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ. მუთოშვილი, კ. მუხაური, ე. ფეტვიაშვილი, გ. უძილაური, ფ. შიომღველიშვილი.)**

**დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**სხდომაზე შემოვიდა ლევან ვაჩიშვილი.**

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილ; განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ა) დადგენილების მიღება გამოწვეულია იმით, რომ 2022 წლის 1 იანვრიდან ხორციელდება მუნიციპალიტეტის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს ოდენობების ზრდა.

მოცემულ შემთხვევაში რელევანტურია საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს კანონის განსაზღვრული მაქსიმალური ოდენობის მნიშვნელოვნად მატება. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და ამავე კანონის №4 დანართის №4.2 ცხრილით განსაზღვრული კოეფიციენტისა და საბაზო თანამდებობრივ სარგოზე ნამრავლით (ზღვრული კოეფიციენტის ფარგლებში), მისი მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 6600 ლარს.

ასევე მნიშვნელოვნად იზრდება საკრებულოს სხვა თანამდებობის პირების სარგოებიც, რის გამოც მიზანშეწონილ საკრებულოს არათანამდებობის პირებისათვის გათვალისწინებული ხარჯების ოდენობის გაზრდაც. აღნიშნულიდ გამომდინარე, დღის წესრიგში დგას საკრებულოს სხვა წევრებისათვის ასანაზღაურებელი ხარჯების მომატების საკითხი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობა, რომლებსაც საკრებულოში არ უკავიათ თანამდებობა, შეადგენს 10-ს. მათ შორის: 2 - „ქართული ოცნება“, 7 - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 1 - მს. „საქართველოსთვის“.

ბ) საკრებულოს წევრთა ხარჯების ცვლილება აისახება ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯით ნაწილზე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თითოეული წევრის, რომელსაც საკრებულოში არ უკავია თანამდებობა (შემდგომ - საკრებულოს წევრი), ხარჯების ყოველთვიური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15 %-ს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიური ოდენობა შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს.

საკრებულოს წევრის ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება საკრებულოს სხდომებში, საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის, საკრებულოს გადაწყვეტილებების მომზადებისა და ინიცირების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განხორციელებისათვის.

ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საკითხებზე, საკრებულოს აპარატის უფროსი ყოველთვიურად ადგენს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ინფორმაციას (მომხსენებით ბარათს), თვის 20 რიცხვისთვის არსებული მდგომარეობით (თუ მიმდინარე თვის 20 რიცხვი ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ

ან/და დასვენების დღეს, მაშინ მომდევნო სამუშაო დღეს).

საკრებულოს წევრებისთვის ხარჯების ანაზღაურება ხდება თვეში ერთხელ, საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე, როგორც წესი, მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დარიცხვასთან ერთად.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.**

**სხდომას ესწრება 25 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე - 16**

**მონაწილეობა არ მიიღო - 9 (შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ. მუთოშვილი, კ. მუხაშური, ე. ფეცვიაშვილი, გ. უძილაური, ფ. შიომღვიმელი, თ. მოზაიძე.)**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №23 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ;**

მოისმინეს: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშ მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის“ საფუძველზე (№45/36, - 22 ნოემბერი, 2021 წ. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს შემდეგი რეკომენდაციები:

შესწავლილ იქნეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული თითოეული ა(ა)იპ-ის რეალური საჭიროება და ცალკე ფუნქციონირების ეფექტიანობა, ასევე განხილულ იქნეს მსგავსი ფუნქციებისა და მიზნების მქონე იურიდიული პირების კონსოლიდაციის (შერწყმის) შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა;

განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები იმისათვის, რომ ა(ა)იპ-ების საქმიანობის დაგეგმვისა და მართვის პროცესში მაქსიმალურად ეფექტურად იქნეს გამოყენებული მუნიციპალური რესურსები;

შესწავლილ იქნეს ყველა იურიდიული პირის საკადრო პოლიტიკა, მოხდეს დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და მათზე დახარჯული სახსრების გაანალიზება, შეფასდეს იდენტური ფუნქციის მქონე სამტატო ერთეულების არსებობის მიზანშეწონილობა და, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდეს სამტატო ერთეულების ოპტიმიზაცია;

შესწავლილ იქნეს, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი ა(ა)იპ-ების საქმიანობა სათანადო მატერიალური რესურსებით, ასევე გაირკვეს რამდენად მიზნობრივად და ეფექტურად ხდება ა(ა)იპ-ების სარგებლობაში არსებულ ქონების გამოყენება;

შესწავლილი და შეფასებული იქნეს კომუნალურ და ინფრასტრუქტურულ სფეროებში დაფუძნებული ა(ა)იპ-ების არსებობის მიზანშეწონილობა, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვროს ალტერნატიული საშუალებები აღნიშნულ სერვისების განსახორციელებლად (მომსახურების შესყიდვა, სუბსიდირება);

იურიდიული პირების საქმიანობაზე კონტროლის ეფექტურად განხორციელების მიზნით, რეგულარულად მოხდეს მხრიდან ანგარიშგება მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს წინაშე.

ეთხოვოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს:

განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია პერიოდულად მიაწოდოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

იმავე მიზნით მუნიციპალიტეტის მერიაში დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნეს მის შემადგენლობაში საკრებულოს შესაბამისი კომისიებისა და საკრებულოს ცალკეული წევრების ჩართულობა.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.**

**სხდომას ესწრება 25 წევრი.**

მონაწილეობა არ მიიღო - 9 (შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ. მუთოშვილი, კ. მუხაური, ე. ფეტვიაშვილი, გ. უძილაური, ფ. შიომღვიმელი, თ. ძიჭაიძე.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 1 „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის განხილვისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის რეკომენდაციების მიცემის შესახებ;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:40 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული  
შტამპი

